ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N 7

ჭიათურა, ტყემლოვანა **07** თებერვალი 2023 წ.

1. ხელშეკრულების მხარეები

1.1ერთის მხრივ, სსიპ ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ ტყემლოვანის საჯარო სკოლა (შემდეგში ,,შემსყიდველი, წარმოდგენილი მისი დირექტორის რუსუდან ბიწაძის სახით და მეორეს მხრივ, შპს „ავერსი-ფარმა“ (შემდგომში ,,მიმწოდებელი),წარმოდგენილი მისიკომერციული დირექტორის ეკატერინე მიქელაძის (მინდობილობის სარეგისტრაციო N221744875, ინდივიდუალური #66752517260322) სახით, ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის, პირველი პუნქტის, ს[1] ქვეპუნქტისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს N 13 ბრძანების ,,გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმის განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მე-2 მუხლის ,,ა" ქვეპუნქტის თანახმად, დებენ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას (შემდგომში ,,ხელშეკრულება").

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 შესყიდვის ობიექტი: მედიკამენტების შესყიდვა, დანართი N 1-ის შესაბამისად.

2.2 კლასიფიკატორის დანაყოფი და კლასიფიკატორის (CPV) კოდი: **33600000** - ფარმაცევტული პროდუქტები. და (CPV) კოდი: 33140000-სამედიცინო სახარჯი მასალები.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 შესყიდვის ობიექტის ღირებულება შეადგენს **569. 39 (ხუთას სამოცდაცხრა ლარი და 39 თეთრი)** ლარს. აქედან:

1. ფარმაცევტული პროდუქტები: 321.11 ლარი;
2. სამედიცინო სახარჯი მასალები: 248.28 ლარი.

3.2 ხელშეკრულება მოიცავს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს, საქონლის მიწოდებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს, მათ შორის ტრანსპორტირების ხარჯს.

3.3 დაფინანსების წყარო - 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრები.

4. საქონლის მიწოდების ვადა, ფორმა და ადგილი

4.1. საქონლის მიწოდების ვადა: ხელშეკრულების დადებიდან 2023 წლის 10 აპრილის ჩათვლით.

4.2 საქონლის მიწოდების ფორმა: საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის დაცვით, ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შესაბამისად.

4.3 საქონლის მიწოდების ადგილი: ჭიათურის მუნიციპალიტეტი სოფელი ტყემლოვანა. საქონლის შესყიდვის მომენტად ითვლება აღნიშნულ მისამართზე მხარეთა მიერ სასაქონლო ზედნადების გაფორმების თარიღი, რა მომენტიდანაც შემსყიდველზე გადადის 6.2. პუნქტით გათვალისწინებული საკუთრების უფლება;

5. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

5.1 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების (გადარიცხვა) ფორმით ეროვნულ ვალუტაში, ლარი.

5.2. ანგარისწორება განხორციელდება მიმწოდებლის მიერ შესასაბამისი საგადასახადო ანგარიშ–ფაქტურის (კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში) გამოწერისა და მოწოდებული საქონლის შესაბამისად, გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, მიღება-ჩაბარების აქტზე შემსყიდველის მიერ ხელმოწერიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

6. მიღება - ჩაბარების წესი

6.1 შემსყიდველის მხრიდან, მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერი, უფლებამოსილ პირს წარმოადგენს, ტ ყ ე მ ლ ო ვ ა ნ ი ს ს ა ჯ ა რ ო ს კ ო ლ ი ს დ ი რ ე ქ ტ ო რ ი რ უ ს უ დ ა ნ ბ ი წ ა ძ ე

6.2 საქონელი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული შესაბამისი სასაქონლო ზედნადებისა და მიღება - ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ, რომელთა ხელმოწერამდე ყველა ქონებრივი უფლება საქონელზე ეკუთვნის მიმწოდებელს, რომელიც პასუხისმგებელია შესაძლო რისკებზე – საქონლის შემთხვევით (მთლიანად ან ნაწილობრივ) დაღუპვაზე, გაფუჭებაზე ან რაიმე ზიანზე. აღნიშნული დოკუმენტის გაფორმების მომენტიდან აღნიშნული უფლებები და რისკები გადადის შემსყიდველზე..

7. ხელშეკრულების კონკრეტული მოქმედების ვადა

7.1 ხელშეკრულების კონკრეტული მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ორმხრივად ხელის მოწერის დღიდან და მოქმედებს 2023 წლის 10 მაისის ჩათვლით.

8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი:

8.1. შემსყიდველი უფლებამოსილია:

8.1.1 მოსაწოდებელი ან/და მოწოდებული საქონლის და მოწოდების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლი განახორციელოს ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე.

8.1.2 ხელშეკრულების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს ნონა კაცია.

8.2. შემსყიდველი ვალდებულია:

8.2.1 უზრუნველყოს მოსაწოდებელი საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

8.3 მიმწოდებელი ვალდებულია:

8.3.1 უზრუნველყოს საქონლის მოწოდება ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შესაბამისად;

8.3.2 დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;

8.3,3 მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

9. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

9.2 ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების თავდაპირველი ღირებულების 10%–ზე მეტი ოდენობით.

9.4 ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

9.5. მხარე ვალდებულია 9.4 პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 3 (სამი) კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.

9.6 ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

10. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

10.1 მხარეები კისრულობენ ვალდებულებას აუნაზღაურონ მეორე მხარეს მათ მიერ წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის ან არასრულად შესრულების შედეგად მიყენებული ზიანი, მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული წესით;

10.2 ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის პირგასამტეხლო განისაზღვრება ხელშეკრულების საერთო ღირებულების 2%-ის ოდენობით;

10.3 ხელშეკრულების პირობების არაჯეროვანი შესრულებისათვის (მათ შორის, ვალდებულების შესრულების ვადაგადაცილების დროს) პირგასამტეხლო განისაზღვრება ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შესასრულებელი ვალდებულების შესაბამისი ღირებულების 0.02%-ის ოდენობით;

11. დაუძლეველი ძალა (ფორს-მაჟორი)

11.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია აუცდენელი დაუძლეველი ძალის ზეგავლენით.

11.2 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა ფორს- მაჟორული სიტუაცია (წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, ეპიდემია, კარანტინი ან მსგავსი მოვლენები), თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

11.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში წინამდებარე ხელშეკრულების მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, პირველი შესაძლებლობისთანავე უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ.

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

12.1 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

13. სხვა პირობები

13.1 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე და ხელმოწერილი იქნება მხარეთა უფლებამოსილი პირების მიერ, ,,ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, კვალიფიციური ელქტრონული ხელმოწერით, რომელთაგან თითოეული მხარის ელექტრონული ვერსია ინახება ხელმომწერ მხარეებთან ერთ ეგზემპლარად, რომელთაც გააჩნიათ თანაბარი იურიდიული ძალა.

13.2 მიმწოდებელსა და შემსყიდველ ორგანიზაციას შორის წერილობითი ურთიერთობა ხორციელდება, როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული ფორმით, მათ შორის, მხარეთა ელექტრონული ფოსტის მეშვეობით. მხარეები არსებითად ეთანხმებიან წინამდებარე ხელშეკრულების პირობებს, რასაც ადასტურებენ ხელმოწერით.

13.3 საკითხები, რომლებიც არ არის რეგულირებული წინამდებარე ხელშეკრულებით, წყდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე.

14. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

,,შემსყიდველი"	მიმწოდებელი
სსიპ ჭიათურის მუნიციპალიტეტის	შპს „ავერსი-ფარმა"
სოფელ ტყემლოვანის საჯარო სკოლა	საიდენტიფიკაციო კოდი: 211386695
ს/კ 215606592	იურ. მის.: თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ.148
მის: ჭიათურის მუნიციპალიტეტი	ფაქტ. მის.:თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ.148
სოფელი ტყემლოვანა	საბანკო რეკვიზიტები:
	ბანკის დასახელება:სს საქართველოს ბანკი
	ბანკის კოდი: BAGAGE22
	ანგარიშის ნომერი: GE06BG0000000122932100
დირექტორი:	კომერციული დირექტორი:
რუსუდან ბიწაძე	ეკატერინე მიქელაძე

დანართი

N	დასახელება	რაოდენობა	ერთეულის ფასი	საერთო თანხა	მწარმოებელი კომპანია	მწარმოებელი ქვეყანა
1	წნევის აპარ.მექანიკEXPERT PLUS	1.000	28.0000	28.0000	ჩინეთი	ჰონსანი
2	პულსოქსიმეტრი (სატურაციის აპ)	1.000	36.0000	36.0000	ჩინეთი	შენჟენ რონგშენგ ჩუანგ ინდასტრი
3	ლახტი სისხლის შემაჩ.პ/საკ	1.000	2.8800	2.8800	ჩინეთი	ბოენ ჰელზქეა
4	სათბური რეზ.კომბ.N2	1.000	7.5500	7.5500	ჩინეთი	ბოენ ჰელზქეა
9	ხელთათმანი ა/სტM-7წყვ.პ/გ	100.000	0.4480	44.8000	მალაიზია	ტოპ გლოვზ
10	ბინტი 7მx14სმ არასტ.(იმპ)	10.000	0.9200	9.2000	სომხეთი	სიგმა მედიქეარ
11	ბამბა სამედ.ჰიგრ.ქირურ.სტერ50გ	5.000	1.0000	5.0000	რუსეთი	ბუკაევი რუ ნიჟნი ნოვგოროდი
12	ლეიკოპლ.getwell #10	24.000	0.3200	7.6800		
16	ბრილიანტის მწვანე 1% 20მლ ფლ	2.000	0.9200	1.8400	უკრაინა	დკპ ჟიტომირის ფ/ფ
18	ბეტადინი ხსნარი 10% 120მლ ფლ	3.000	18.6800	56.0400	უნგრეთი	ეგისი
19	პარაცეტამოლი (ცეტამი)500მგ#10	10.000	0.5600	5.6000	ბანგლადეში	პაციფიკ ფარმაცევტიკალ
20	იბუპროფენი 0.2გ #50ტ(ბელ)	2.000	2.2000	4.4000	ბელორუსია	ბორისოვო მედ/პრ ქ-ნა
22	მიგოფენი 400მგ #10ტ	10.000	7.8400	78.4000	საქართველო	ავერსი-რაციონალი
23	კეტოროლაკი 10მგ #20ტ	5.000	1.4000	7.0000	ბელორუსია	ბორისოვო მედ/პრ ქ-ნა
24	დიკლო ფეროლი N-გეო 75მგ/3მლ#5ა	2.000	12.1600	24.3200	საქართველო	ავერსი-რაციონალი
25	ნო-შპა 40მგ #24ტ	2.000	8.4400	16.8800	უნგრეთი	ხინოინი უნგრეთი
27	დექსამეტაზონ აჯიო 4მგ/მლ1მლ#5ა	1.000	1.7600	1.7600	ინდოეთი	აჯიო ფარმაცევტიკალს
28	ვალიდოლი (მედილოლი)#10ტ(დარნ)	5.000	0.6000	3.0000	უკრაინა	დარნიცა კიევი
29	ვალერიანის ნაყენი 30მლ ფლ	2.000	0.8800	1.7600	ბელორუსია	ბორისოვო მედ/პრ ქ-ნა
30	ზელენინის წვეთები 25მლ(ნეოფ)	2.000	2.8000	5.6000	საქართველო	ნეოფარმი პლუსი
31	კორვალოლ-დარნიცა 25მლ ფლ	2.000	2.0400	4.0800	უკრაინა	დარნიცა კიევი
32	კორსიზი #10ტ	20.000	1.8800	37.6000	საქართველო	ავერსი-რაციონალი
33	წნევის აპ.Omron M3 Comfort	1.000	180.0000	180.0000	იაპონია	ომრონი
	სულ:			**569.3900**		

სსიპ ჭიათურის მუნიციპალიტეტის
სოფელ ტყემლოვანის საჯარო სკოლა **დირექტორი: რუსუდან ბიწაძე**

შპს“ავერსი-ფარმა “ **კომერციული დირექტორი ეკატერინე მიქელაძე**